სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II აღსაყდრების საიუბილეო თარიღის გამო*

ბედნიერია ერი, რომელსაც სულიერ მამად და წინამძღვრად ისეთი ადამიანი ჰყავს, როგორიცაა ***სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II***. ამიტომ სავსებით გასაგებია ის ევფორია და ენთუზიაზმი, რომელსაც მთელი ქართველობა ***ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების ოცდამეათე*** და ***მისი დაბადების სამოცდამეთხუთმეტე წლისთავზე*** განიცდის; არასოდეს ყოფილა მართლმადიდებელი ქართველი ერი სარწმუნოებრივად ისეთი მთლიანი და ერთიანი, როგორც ეს ჩვენს დროშია, და ამ ერთიანობის ბრწყინვალე სიმბოლოა ბოლო წლებში აგებული *წმიდა სამების გრანდიოზული საკათედრო ტაძარი*, რომელიც მფარველად გადმოჰყურებს თბილისს და მთელს საქართველოს.

ამასთანავე, ***სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II*** მაღალი სულიერება ემყარება მის პიროვნებაში **რწმენისა** და **ცოდნის შერწყმას ერთიან მსოფლმხედველობითს სისტემად**, სადაც სარწმუნოება და მეცნიერება კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ და ასაზრდოებენ ერთმანეთს. სწორედ ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ ჩვენი **კათოლიკოს-პატრიარქი** — მრავალი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ერთსულოვნად აერჩია თავის **საპატიო წევრად — საპატიო აკადემიკოსად.** მსოფლიოში სულ რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი უმაღლესი რანგის სასულიერო პირის ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად არჩევისა...

დღეს საერთაშორისო მეცნიერებაში მეტად აქტუალურია ტრადიციული პრობლემა *ცოდნისა* და *რწმენის, მეცნიერებისა* და *სარწმუნოების* ურთიერთმიმართების თაობაზე; წარსულისა და ჩვენი დროის უდიდესი მეცნიერები და მოაზროვნენი, როგორც ჰუმანიტარები, ასევე საბუნებისმეტყველო დარგების წარმომადგენელნი, ღრმად მორწმუნე ადამიანები იყვნენ და არიან...

---

* «საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს». *კრებული ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II აღსაყდრებიდან 30-ე და დაბადებიდან 75-ე წლისთავზე*, თბილისი, 2007.

ასე მაგალითად, ***მაქს პლანკი*** — უდიდესი მეცნიერი-ბუნებისმეტყველი, თანამედროვე თეორიული ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი) თვლის, რომ ***მეცნიერება*** და ***სარწმუნოება*** კი არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ ისინი ავსებენ ერთმანეთს და კომპლემენტარულნი არიან ერთურთის მიმართ (***ნილს ბორის*** *„დამატებითობის პრინციპის“* გაგებით), ხოლო *ეთიკის სფერო* კი მთლიანად რელიგიას განეკუთვნება... სწორედ ქრისტიანული ეთიკა არის მეცნიერული მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი სფერო კათოლიკოს-პატრიარქისა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში *„ქრიტიანული თეოლოგიის და რელიგიის ისტორიის შემსწავლელ კომისიას“* ხელმძღვანელობს.

ვუსურვებ ჩვენს ***კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II*** კიდევ დიდხანს, დიდხანს ყოფილიყოს მთელი ჩვენი ხალხის გამაერთიანებელი და სულიერი წინამძღოლი.

აკადემიკოსი ***თამაზ გამყრელიძე***
საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის
პრეზიდენტი